ეთიკის კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**
ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ა. ბ. , წარმომადგენელი: ტ. ბ.
**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 09.03.2018
**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 025/18
**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ე. გ. /სიითი №..../
**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ე. გ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

### I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 09 მარტს საჩივრით მიმართა ა. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 22 იანვარს ა. ბ. დააკავეს ტერორისტული ორგანიზაციის წევრებისათვის დახმარების გაწევის ბრალდებით. დაკავებისთანავე მისი და, ტ. ბ. დაუკავშირდა ადვოკატებს ი. ბ.-ს და მ. ს.-ს, რომლებიც შეხვდნენ ა. ბ.-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში და დაიწყეს მისი სამართლებრივი დაცვა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ა. ბ.-ს დაკავების დღეს, მის ადვოკატებთან შეხვედრის შემდეგ მოდულის შენობასთან, ჟურნალისტებთან ერთად გამოცხადდა ადვოკატი ე. გ., რომელიც ა. ბ.-სთან წინასწარი დაკავების იზოლატორში შევიდა და გაესაუბრა მას. ადვოკატს და დაკავებულს შორის შეხვედრა რამდენიმე წუთში დამთავრდა და ა. ბ.-თან შეთანხმების გარეშე ადვოკატმა მასმედიის საშუალებით გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ 41 წლის ა. ბ. იცნობდა 19 წლის გარდაცვლილ თ. მ.-ს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას ჩამოუყალიბა გარკვეული შეხედულება ა. ბ.-ს მიმართ, რაც ემთხვევა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ინტერესებს.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ ე. გ.-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, მისმა განცხადებამ პანკისის მაცხოვრებლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საფრთხის წინაშე დააყენა საჩივრის ავტორის ოჯახი.

1.5 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 03 აპრილს დამატებით წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითა, რომ ადვოკატ ე. გ.-ს ა. ბ.-სათვის და მისი ოჯახისათვის არ განუმარტავს, რომ ის იყო საზოგადოებრივი ადვოკატი და რომ მან მასმედიის საშუალებით გაავრცელა მის მიერ ა. ბ.-თან შეხვედრისას მიღებული ინფორმაცია, რომელსაც თავად ა. ბ. უარყოფს.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტის შემოთავაზებაზე თანხმობის შემდეგ, დაუყოვნებლივ შეხვედროდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ ა. ბ.-ს. ადვოკატმა ე. გ.-მ დაუცველად დატოვა ბრალდებული და მასზე წინ დააყენა პირადი და საქართველოს უსაფრთხოების სამინისტროს ინტერესები.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ე. გ.-მ 2019 წლის 19 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განმარტებაში აღნიშნა, რომ საჩივარში აღნიშნული გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს. 2018 წლის 22 იანვარს 14:26 საათზე მას ტელეფონით დაუკავშირდა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს სპეციალისტი და შესთავაზა სავალდებულო წესით დაეცვა ა. ბ.-ს ინტერესები, მისი განმარტებით ადვოკატს საქმის დეტალებზე დაუკავშირდებოდა გამომძიებელი. ადვოკატი დათანხმდა შემოთავაზებას და გააფორმა ორდერი, მაგრამ გამომძიებელი არ დაუკავშირდა მას.

2.2 ადოკატის განმარტებით, მას დაუკავშირდნენ ჟურნალისტები, რომლებსაც აინტერესებდათ შეხვდებოდა თუ არა ის მის დასაცავ პირს ა. ბ.-ს, რაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ ელოდებოდა გამომძიებლის ზარს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, როდესაც მას გამომძიებელი არ შეეხმიანა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეს ჰქონდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და შესაძლებელი იყო მასმედიას გაევრცელებინა ინფორმაცია, რომ მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი არ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას, იურიდიული დახმარების სამსახურის რეპუტაციის დაცვის მიზნით, ადვოკატმა მიიღო გადაწყვეტილება გვიან საღამოს შეხვედროდა ა. ბ.-ს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, წინასწარი დაკავების იზოლატორის შენობასთან ის მივიდა მარტო და მას ადგილზე დახვდნენ მასმედიის წარმომადგენლები. ადვოკატი შეხვდა ა. ბ.-ს 23:15 საათზე, ხოლო შეხვედრა გაგრძელდა 40 წუთი.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ა. ბ.-მა მათი საუბრის დროს დაუდასტურა გარდაცვლილ თ. მ.-თან ნაცნობობა, ამ ინფორმაციის გავრცელება ბრალდებულს მისთვის არ აუკრძალავს და ჟურნალისტებთან განაცხადა როგორც ნაცნობობა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ეს ინფორმაცია მის მდგომარეობას არანაირად არ დაამძიმებდა.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ვინაიდან ის ელოდებოდა გამომძიებლის ზარს, საჩივრის ავტორს შეხვდა საგამოძიებო ორგანოში ორდერის წარდგენის გარეშე, რომელსაც შეხვედრის შემთხვევაში გადასცემდა ორდერს, მიუხედავად ამისა, მას უფლება და ვალდებულება გააჩნდა ორდერის გადაცემის გარეშე შეხვედროდა მის მიერ დასაცავ პირს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს პრეტენზია უნდა გააჩნდეს ადვოკატების ბ.-ის და ს.-ის მიმართ, ვინაიდან მათ არ წარუდგენიათ ორდერები, რამაც გამოიწვია იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს მიერ ადვოკატი ე. გ.-ს საქმეში ჩართვა.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი ტ. ბ. წააქეზეს ადვოკატებმა, იმ მიზნით, რომ მასზე თავდასხმის განხორციელებით შეუმსუბუქონ ბრალდებულ ა. ბ.-ს მისი მდგომარეობა. ადვოკატის განმარტებით პანკისის მოსახლეობის უკმაყოფილება არცერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია, შესაბამისად მის ინტერვიუს უარყოფითი გავლენა ე. გ.-ს ოჯახზე არ მოუხდენია.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ე. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ა. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 09 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ე. გ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დროულად არ შეხვდა მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს; ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეხვედრის შემდეგ, მასმედიის საშუალებით გაავრცელა არასწორი ინფორმაცია.

5.2 საჩივრის ავტორის პირველ პრეტენზიაზე საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა''.

5.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ადვოკატის ეს ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც.

5.4 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი დროულად არ შეხვდა მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს და არ შეასრულა საადვოკატო ვალდებულება, განმარტავს, რომ საქმის მასალებიდან იკვეთება ის გარემოება, რომ ადვოკატი ელოდებოდა გამომძიებლის ზარს, რადგან

მიეღო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, შეეთანხმებინა მასთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და შეხვედრის შემთხვევაში გადაეცა ორდერი. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საქმის მომზადების ეტაპს, რომლის დროსაც ადვოკატი ვალდებულია მოამზადოს გარკვეული ინფორმაცია და ფორმალობები, რომელიც აუცილებელია საქმის წარმოებისათვის, რამაც განაპირობა, რომ ადვოკატი დაუყოვნებლივ ვერ შეხვდა დაცვის ქვეშ მყოფ პირს.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონით არ არის დადგენილი ადვოკატის საქმეში ჩართვიდან რა დროის განმავლობაშია ადვოკატი ვალდებული შეხვდეს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს. აღნიშნული წესრიგდება პრაქტიკით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს დაკავებისა და ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემის ვადას: ,,დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.'' დისციპლინური საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატი ე. გ. საქმეში ჩაერთო 2018 წლის 22 იანვარს 14:26 სთ-დან, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფ პირს შეხვდა იმავე დღეს, 2018 წლის 22 იანვარს 23:15 საათზე. საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია, რომ 14:26 სთ-დან იმავე დღეს 23:15 სთ-ზე დაკავებულთან შეუსვლელობამ ზიანი მიაყენა დაკავებულის უფლებებს, თუმცა მიიჩნია, რომ ადვოკატი ჩართვიდან გვიან შევიდა დაცვის ქვეშ მყოფ პირთან. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი ამ ნაწილში დაკავებულს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადის დაცვით შეხვდა, ხოლო კლიენტთან შესვლის დრო სხვადასხვა გარმოებაზეა დამოკიდებული, ეთიკის კომისიას დაუსაბუთებლად მიაჩნია საჩივრის ავტორის მოცემული პრეტენზია.

5.6 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიაზე საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის ბ) პუნქტი: ,,ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს''.

5.7 საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციითა და დოკუმენტებით იკვეთება, რომ ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს 2018 წლის 22 იანვარს 23:15-23:55 საათის განმავლობაში შეხვდა და გაესაუბა. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ადვოკატმა მის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან დაჰყო 40 წუთი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჩივრის ავტორმა არ აიცილა ადვოკატი და მათ შორის ჩამოყალიბდა ნდობა, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ე. გ.-სთან შეხვედრამდე იმავე დღეს მასთან 16:55 საათიდან 18:45 საათამდე იმყოფებოდნენ მის მიერ შეთანხმებით აყვანილი ადვოკატები მ. ს. და ი. ბ.. რაც შეეხება ადვოკატის მიერ ჟურნალისტებთან გაკეთებულ განცხადებას, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს აკავშირებდა ნაცნობობა თ. მ.-თან, ადვოკატის განმარტებით ა. ბ.-მა შეხვედრის დროს დაუდასტურა ნაცნობობა და კლიენტს მისთვის ინფორმაციის გამჟღავნება წინასწარ არ აუკრძალავს, ხოლო განცხადების გაკეთების დროს მიიჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება დაცვის პროცესში გამართლებული იყო. ადვოკატის

შეფასებით, ამ განცხადებით არ დამძიმებულა მისი დაცვის ქვეშ მყოფის სამართლებრივი მდგომარეობა.

5.8 ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ადვოკატის ეთიკის კომისიის უფლებამოსილება შეზღუდულია იმ მხრივ, რომ შეაფასოს ადვოკატის სტრატეგია ან ის მოქმედებები, რომელსაც ის ახორციელებს კლიენტის დასაცავად. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედებით კონფიდენციალურობის პრინციპი არ დარღვეულა, ვინაიდან ადვოკატმა გაამჟღავნა ისეთი ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს მისთვის წინასწარ არ აუკრძალავს და ადვოკატის შეფასებით, ის ამ განცხადების გაკეთების დროს მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ ე. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.10 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე №025/18 ადვოკატ ე. გ.-ს მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/